ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი №2

ქ. ვანი 19 02 2014 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

მურად ახვლედიანი - ვანის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის თავმჯდომარე.

ავთანდილ ჭელიძე - გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

შოთა კორძაძე - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, წევრი.

აკაკი წერეთელი - გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, წევრი.

რუსუდან აბჟანდაძე - გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

რამლეზი ოჩხიკიძე - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის წამყვანი სპეციალისტი, აპარატის წევრი.

თამარ ადეიშვილი - სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი აპარატის წევრი-მდივანი.

დღის წესრიგი:

ვანის მუნიციპალიტეტის მიერ კონკურსის მეშვეობით სალხინოს თემში ჯვარისერის გდასახვევიდან სალხინოს სკოლამდე 45 სანათის და ვანი-გაღმავანის გზაზე 40 სანათის მოწყობაზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული კონკურსის (უ/ნ 1084 05.02.2014წ.) შედეგების განხილვა.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრის ავთანდილ ჭელიძის გამოსვლა, რომელმაც კომისიას აცნობა, რომ საკონკურსო განცხადებით განსაზღვრულ ვადაში (2014 წლის 13 თებერვალი 17:00 სთ) კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დალუქული კონვერტი წარმოადგინა სამმა პრეტენდეტმა :

1. შპს „ვნვ და კომპანია"
2. შპს „ამბაზი-3"
3. ი/მ „დოდო რიბაკოვი"

განიხილეს: კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი დალუქული კონვერტების გახსნის შედეგად აღმოჩნდა, რომ შპს „ამბაზი-3"-ის და ი/მ „დოდო რიბაკოვი"-ს მიერ საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი იყო ერთ ეგზემპლარად, ნაცვლად ორი ეგზემპლარისა, როგორც ეს საკონკურსო განცხადებით იყო განსაზღვრული. აქედან გამომდინარე, არ მომხდარა აღნიშნული დოკუმენტაციის განხილვა. შპს „ვნვ და კომპანია"-ს მიერ

წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია შეესაბამება საკონკურსო განცხადებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ - მურად ახვლედიანმა.
კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ - ავთანდილ ჭელიძემ.
კომისიის წევრებმა: შოთა კორძაძემ, რუსუდან აბჟანდაძემ.

დაადგინეს:

1) წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შესაბამისად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში (უ/ნ 1084 05.02.2014წ.) გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „ვნვ და კომპანია".
2) დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს, მოახდინოს აღნიშნული საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის გაგზავნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების მიზნით, რათა კონკურსს მიენიჭოს სტატუსი - გამარჯვებული გამოვლენილია.
3) საკონკურსო კომისიამ უზრუნველყოს გამარჯვებული ორგანიზაციის მოწვევა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

კომისიის თავმჯდომარე: მურად ახვლედიანი

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ავთანდილ ჭელიძე

1. შოთა კორძაძე
2. აკაკი წერეთელი
3. რუსუდან აბჟანდაძე

აპარატის წევრები:

1. რამლეზ ოჩხიკიძე
2. თამარ ადეიშვილი

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ვანი 19 02 2014 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ კონკურსის საშუალებით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვის მიზნით 2014 წლის 5 თებერვალს გამოცხადებული (განცხადება უ/ნ 1084) კონკურსის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: მურად ახვლედიანი

კომისიის წევრები:

1. ავთანდილ ჭელიძე
2. შოთა კორძაძე
3. აკაკი წერეთელი
4. რუსუდან აბჟანდაძე

საკონკურსო აპარატის წევრები:

1. თამარ ადეიშვილი
2. რამლეზ ოჩხიკიძე